ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8002965

ნომერი: AR11151289

თარიღი : 08.07.2026

გაცემის თარიღი : 14.07.2026

გაცნობის თარიღი : 14.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 14 ივლისს №AR11151289 განცხადებით მომართა ვასილი ცომაიამ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს

№7590582 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებით, №01.13.01.004.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტსა და კალენდარულ გრაფიკში/ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში მეოთხე ეტაპები არასწორად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორება და შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული კალენდარული გრაფიკით.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2025 წლის 14 ივლისის №AR1939933 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.13.01.004.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ცენტრის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის კალენდარული გრაფიკი. სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად, მშენებლობის მეოთხე ეტაპი არასწორად დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ მეოთხე ეტაპის სამშენებლო სამუშაოების სწორად არის დაფიქსირებულია შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში IV ეტაპი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4) შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა გადახურვის ჩათვლით.“
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული მშენებლობის კალენდარული გრაფიკით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 13 აგვისტოს №7590582 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში